ოზურგეთელები მხარს დაუჭერენ „ნატანები 2 ჰესის“ პროექტს თუ არ მოხდება ის, რაც მოხდა უკანავაში „ბახვიჰესის“ მშენებლობის დასასრულს

„ალიონი“ 15 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში შპს „ენერჯი სოლუშენს ნატანებმა“ საზოგადოებას წარუდგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე ნატანებზე „ნატანები 2 ჰესის“ (დადგმული სიმძლავრით 9,45 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

როგორც შეხვედრაზე ითქვა, საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს ნატანებისა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 23 ივნისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოში არსებული უხვი ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისება სახელმწიფოს ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ენერგეტიკულ სექტორში გატარებული გრძელვადიანი პოლიტიკის ამოცანაა ინვესტიციების მოზიდვა ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისთვის. ამ პოლიტიკის ნაწილს შეადგენს საკუთარი ჰიდრორესურსებით ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება ეტაპობრივად: ჯერ იმპორტის, შემდეგ კი – თბოგენერაციის ჩანაცვლებით. აღნიშნული მიზნის მიღწევაში ერთ–ერთ მთავარ როლს ასრულებს არარეგულირებადი (მდინარეთა ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე) მცირე სიმძლავრის ჰესების მშენებლობა.

საპროექტო „ნატანები 2 ჰესი“ იქნება ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე (წყალსაცავის გარეშე) ჰიდროელექტროსადგური. განსხვავებით რეგულირებადი ჰესებისგან, შპს „ენერჯი სოლუშენს ნატანების“ ხელმძღვანელობის თქმით, იგი არ ხასიათდება გარემოზე განსაკუთრებით მაღალი, შეუქცევადი ზემოქმედებით. ცალკეულ შემთხვევებში, შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების ეფექტურად გატარების პირობებში, შესაძლებელი იქნება ნეგატიური ზემოქმედებების შემცირება.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის (საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ და დებულება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“) მოთხოვნების გათვალისწინებით. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება საფონდო და ლიტერატურულ მონაცემებს და ასევე უშუალოდ პროექტის განხორციელების არეალში ჩატარებული კვლევების შედეგებს.

ჰესის მშენებლობა იგეგმება გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკიჯვართან, მდინარე ნატანების ხეობის 935-650 მ ნიშნულებს შორის.

სათავე კვანძი მოეწყობა მდინარის კალაპოტის 935 ნიშნულზე. ერთძაფიანი, 3726 მ სიგრძის ფოლადის მილსადენი გაივლის მდინარის მარჯვენა სანაპიროს მთის ფერდობზე. მილსადენის საწყისი 3078 მ სიგრძის მონაკვეთი იქნება შედარებით დაბალი დაწნევის და გაივლის სათავე კვანძამდე, მოსაწყობი საავტომობილო გზის გასწვრივ. მილსადენის ბოლო, 648 მ სიგრძის

გვ-3

ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №12 (10153), 21 მარტი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. პარალელურად, რეაბილიტაციის გამო დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

დღეს მიმდინარე სამუშაოები ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ მოინახულა.

,, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელი სრულად იცვლება, გაუმჯობესდება წყლის ხარისხი და მთლიანად დარეგულირდება წყლის მიწოდების სისტემა. აღნიშნულმა სამუშაოებმა ასფალტის დაზიანება გამოიწვია, თუმცა აღდგენითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. რეაბილიტაციის პროცესი თვენახევარში დასრულდება და ქალაქი წყლის მიწოდების გამართული სისტემით იქნება უზრუნველყოფილი.“ - განაცხადა ბეგლარ სიორიძემ.

კომპანია GREEN VILLAGE გურიაში მინიმუმ 3,5 მილიონი ლარის ღირებულების ინვესტიციას განახორციელებს

ალიონი. კომპანია Green Village გურიაში მინიმუმ 3,5 მილიონი ლარის ღირებულების ინვესტიციას განახორციელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე Global UNI Group-ის დამფუძნებელს ლაშა ჟვანიასა და კომპანიის გენერალურ დირექტორს დავით ალექსიძეს შეხვდა.

,,მინდა მადლობა გადავუხადო Global UNI Group-ის წარმომადგენლებს დღევანდელი შეხვედრისთვის. ჩვენ შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზე და კომპანიას პროექტის წარმატებით განხორციელების საქმეში სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ. რეგიონში ინვესტიციების განხორციელებისთვის ყველანაირი პირობა არსებობს. მსგავსი სახის პროექტები გურიაში ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს", - აღნიშნა გია სალუქვაძემ.

კომპანია Green Village 2011 წელს ჩამოყალიბდა და მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანა და წარმოება წარმოადგენს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, აღნიშნული კომპანია გურიაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 272 ჰექტარ მიწის ფართობზე, ეთერზეთოვანი ციტრუსების გადამამუშავებელი საწარმოს აშენებას გეგმავს. კერძოდ, 60 ჰა – ბერგამუტი (ციტრუს ბერგამია), 60 ჰა – ბიგარადია (ბიგარადე ორანგე), ხოლო დარჩენილ ფართობზე სხვა ეთერზეთოვანი კულტურების დარგვასა (მაგ: ზამბახი, ჟასმინი, ევკალიპტი, კამელია, დაფნა) და საცდელი მეურნეობის გაშენებას, სადაც ახალი ჯიშების გამოყვანა მოხდება. ჯამში ტერიტორიაზე დაახლოებით 150 000 ძირზე მეტი უნდა განთავსდეს. რეგიონში მიღებული ნედლეულიდან ეთერზეთის მიღება გადამამუშავებელ საწარმოში მოხდება, რომელიც ქობულეთში კომპანიის საკუთრებაში არსებული ყოფილი პურის ქარხნის "აჭარპურის" ტერიტორიაზე განთავსდება. კომპანიის მიერ ამ პროექტის განხორციელებისათვის საპროგნოზო ინვესტიცია მინიმუმ 3,5 მილიონ ლარს შეადგენს, რომელიც უნდა მოხმარდეს სანერგე მასალის შეძენას, ნერგების დამზადებას, ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის გამართვას, ნერგების დარგვას, დანადგარების შეძენას, გადამამუშავებელი საწარმოს, ლაბორატორიისა და საოფისე ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს. პროექტის განხორციელების შედეგად კომპანიაში დამატებით 45 ადამიანი დასაქმდება (30 გურიაში და 15 ქობულეთში). ხოლო მოსავლის დაკრეფის პერიოდში დამატებით 400 ადამიანი.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ეიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ლიხაურლები გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას აპროტესტებენ

ალიონი. სოფელ ლიხაურში 2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე გაუძღვა.

შეხვედრას გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე დაესწრო და ადგილობრივ მოსახლეობასთან აჭისწყლის ხეობაში ბაზალტის მომპოვებელი კარიერის შესაძლო ამოქმედებასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა.

„ ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან ერთად ვიზიარებთ ლიხაურის მცხოვრებთა პროტესტს და მზად ვართ დავიცვათ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. ჩვენ არ დავუშვებთ ლიხაურში გარემოზე ზემოქმედების არცერთ ფაქტს, რადგან ეს არის ადგილი, რომელიც ცნობილია თავისი არაჩვეულებრივი ლანდშაფტით, კულტურული და ისტორიული ძეგლებით. ამიტომ წერილით მივმართეთ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სადაც ვითხოვეთ აჭის ხეობას მიენიჭოს დაცული ტერიტორიის სტატუსი,“- აღნიშნა **გია სალუქვაძემ.**

ლიხაურელმა გიორგი თოიძემ გუბერნატორს სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილ მანქანათმშენებელ ქარხანაში შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ მიერ ტყვიის გადამამუშვებელი საწარმოს შესაძლო გახსნაზე დაუსვა კითხვა. გურიის გუბერნატორის პასუხი ასეთი იყო: –ოზურგეთის მოსახლეობა ამ საწარმოს ამოქმედების წინააღმდეგია. ჩვენ ვალდებული ვართ მოსახლეობის ინტერესი გავითვალისწინოთ.–აღნიშნა მან.

ლიხაურის თემზე მიმდინარე წელს 66 554 ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხა თემში შემავალ უბნებზე – ლიხაურზე, კვაჭალათზე, ნიაბაურსა და აჭზე გადანაწილდება.

ძირითადი პრიორიტეტებია: საბავშო ბაღში ბაგის ასაკის ჯგუფის დამატება, გარე განათების მონტაჟი და სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები – ბადრი გობრონიძე, გიორგი ღურჯუმელიძე, გამგებლის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

სოფელ შრომაში ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებულ ორ ოჯახს სამშენებლო მასალები გადასცეს

ვაჩეიშვილებისა და ბაყაშვილების ოჯახი გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა - მერაბ ჭანუყვაძემ პირადად მოინახულეს.

დაზარალებულებს თუნუქის სახურავი, ხეობა და სხვა სამშენებლო მასალები გადასცეს.

მუნიციპალტეტი აგრძელებს ხანძრისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას. დარჩენილი ოჯახები ეტაპობრივად დაკმაყოფილდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქმედ 10 სასოფლო ბიბლიოთეკას ახალი წიგნები გადასცეს

წიგნები ოზურგეთის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანებამ აქციის ფარგლებში შეიძინა.

გაერთიანება წიგნად ფონდს სოფლის ბიბლიოთეკებში ყოველკვარტალურად ანახლებს.

140 ახალი წიგნი სოფლის ბიბლიოთეკებს ოზურგეთის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა რუსუდან მემარნიშვილმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის - კულტურის განყოფილების უფროსმა ვახტანგ ვაშაყმაძემ და ნინო მამუკელაშვილმა გადასცეს. წიგნები სოფელ ლიხაურის, შემოქმედის, ძიმითის, მთისპირის, მერიის, ბახვის, სილაურის, ურეკის, შრომისა და ლაითურის ბიბლიოთეკებმა მიიღეს.

„ჯეოგადამამუშავებელმა“ გადაწყვიტა თვალებში ნაცრის შეყრის სხვა მეთოდი გამოეყენებინა

(შენიშვნები ტყვიის გადამუშავების საწარმოს სკოპინგის ანგარიშზე)

შპს „ჯეოგადამამუშავებელი“ ოზურგეთის ყოფილ ექსპერიმენტალურ მანქანათმშენებელ საწარმოში ტყვიის სადნობი საწარმოს გახსნას კვლავ გეგმავს, რაზედაც შესაბამისი განცხადება გამოაქვეყნა მედიაში. საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე გაზეთი „ალიონი“ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხებში ცნობილი სპეციალისტის, გურამ ბერძენიშვილის შენიშვნებს გთავაზობთ ტყვიის გადამუშავების საწარმოს სკოპინგის ანგარშთან დაკავშირებით.

შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი”-ს **(შემდგომში საწარმოს)** მიერ დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხაურში არსებულ, ოზურგეთის ყოფილი ექსპერიმენტალური მანქანათმშენებელ საწარმოს შენობა-ნაგებობებში, რომელიც იჯარით აქვს აღებული შპს „მანსაროვარი“ –საგან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ცნობით, 2015 წლის 12 იანვარს შპს „ჯეო გადამამუშავებელს“ შეწყვეტილი აქვს წარმოების რეგისტრაცია) ფერადი ლითონის ჩამოსხმის საწარმოს-აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავ-ებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლოატაცია. საწარმოს მიერ წარმოდგენილ იქნა ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული ტყვიის აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლოატაციის პროექტი – გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

ადგილობრივი მოსახლეობის ზეწოლითა და ადგილობრივ პრესაში საკითხის კრიტიკული შეფასების შემდეგ, საწარმომ გადაწყვიტა თვალებში ნაცრის შეყრის სხვა მეთოდი გამოეყენებინა. წარმოდგენილ დოკუმენტს შეუცვალა სახელი და იგივე პროექტი წარმოადგინა შეცვლილი დასახელებით (მოტივი–თითქოს გაითვალისწინა კრიტიკული შენიშვნები) შემდეგი რედაქციით „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ანგარიში“. პროექტი ითვალისწინებს სუფთა ტყვიის მიღებას გეგმიური წლიური მოცულობით 15 000 ტონა. საწარმოში ასევე დაგეგმილია

აკუმულატორების დამსხვრევის დროს წარმოქმნილი სხვა ნარჩენების (პოლიპროპილენი, პოლიეთილენი,პ.ვ.ქ) გადამუშავება და მეორადი ნედლეულის ნახევარფაბრიკატის დამზადება..

საწარმო პროექტის დასაწყისშივე ტყუის, რადგან არ საზღვრავს მეორადი ნედლეულის ნახევარფაბრიკატის სახესა და რაოდენობას, რაც არ აისახება იმ დანადგარების ჩამონათვალშიც, რომლის მეშვეობითაც ის აპირებს საწარმოს უზრუნველყოფას პროდუქციის საწარმოებლად..

საწარმოს ანგარიშის მიზნებში მკვეთრად არაა გამოხატული მავნე ზემოქმედების აცილების კონკრეტული გეგმა, რადგან მიაჩნია, რომ ეს მიიღწევა შედეგების შერბილებით ან კომპენსაციის გაცემით (მხედველობაშია გარემოს-დაცვის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება, როცა მეწარმე წინასწარ იხდის თანხას შესაძლო დარღვევათა კომპენსაციაზე), მაგრამ ასეთი მეთოდი არ გამოდგება, როცა საქმე ეხება მოსახლეობის ჯანმრთელობას.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით შ.პ.ს. „ჯეოკონი“-ს მიერ განხილული იქნა შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი”-ს აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-მონტაჟის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია და ექსპლოატაციის პირობები, ასევე

ოზურგეთელები მხარს დაუჭერენ „ნატანები 2 ჰესის“ პროექტს თუ არ მოხდება ის, რაც მოხდა უკანავაში„ბახვიჰესის“ მშენებლობის დასასრულს

მონაკვეთი კი იქნება მაღალი დაწნევის, იგი გაივლის ციცაბო ფერდობზე, ზ.დ. 862 მ ნიშნულიდან ჰესის შენობამდე. გათვალისწინებულია მიწისზედა ჰესის შენობის მოწყობა, 654 მ ნიშნულზე. ჰესის შენობაში დამონტაჟდება პელტონის ტიპის ორი ვერტიკალური ჰიდროტურბინა. ჰესის ნამუშევარი წყალი გამყვანი არხის მეშვეობით ჩაშვებული იქნება მდ. ნატანებში, 652 მ ნიშნულზე.

გზშ-ს ფარგლებში განხილული იქნა პროექტის განხორციელების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტები, კერძოდ: სადერივაციო სისტემის ტიპის და განთავსების ალტერნატივები; სათავე კვანძის განთავსების ალტერნატივები. განხილულ ალტერნატივებს შორის შეირჩა ისეთები რომლებიც შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების პირობებში ნაკლებ ზიანს აყენებენ ბუნებრივ გარემოს, ხოლო სოციალური თვალსაზრისით მისაღებელი სარგებელი მნიშვნელოვანია.

ასევე განხილული იქნა არაქმედების, ანუ პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის ალტერნატივა. ჰესის მშენებლობა გარკვეულ ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს მდინარე ნატანების ხეობის ბიოლოგიურ გარემოზე, ჰიდროლოგიურ თუ გეოლოგიურ პირობებზე და ა.შ.

თუმცა აღსანიშნავია, ის მნიშვნელოვანი სარგებელი რაც პროექტის განხორციელებას მოყვება, კერძოდ: ჰესის ექსპლუატაციაში შესვლა ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევას, გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას, განვითარდება ადგილობრივი ინფრასტრუქტურა (მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა) და ა.შ. ჰესის სათავეზე მოეწყობა დაბალი კაშხალი, მის ზედა ბიეფში წყალსაცავის შექმნა გათვალისწინებული არ არის. ასეთ პირობებში, შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების გატარების პარალელურად, პროექტის განხორციელება დასაშვებია.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8–ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას.

საკვლევი უბნის ფარგლებში თანამედროვე საშიში გეოლოგიური (ეზოგენური) პროცესებიდან აღსანიშნავია კლდეზვავ-ქვათაცვენები, მდინარის ნაპირების გარეცხვა (ეროზია), დახრამვა და ღვარცოფული ნაკადები. ასევე გასათვალისწინებელია იშვიათი, მაგრამ მცირე მასშტაბის მეწყერული პროცესები.

საპროექტო დერეფანში ფაუნის ყველაზე მაღალ მგრძნობიარე უბნებად დადგინდა: მდინარისკენ დახრილი ფერდობები და მდინარის სანაპირო ზოლი აქ არსებული ბუჩქნარით, მაღალბალახეულობით და გადაბერებული ხეებით. ამ უბანზე ბინადრობენ: კავკასიური სალამანდრა, კავკასიური გველგესლა, წავი და ბუკიოტი. აქვეა კონცენტრირებული ღამურების სამალავებიც. დაფიქსირდა დათვის კვალიც.

პროექტის გავლენის არეალში იქთიოფაუნა წარმოდგენილია 6 ფორმით. მათგან რაოდენობრივად დომინირებს ნაკადულის კალმახი, კოლხური წვერა და ფრიტა.

საკვლევი ტერიტორიის უახლოესი სოფელია ვაკივკვარი. 2010 წლის მონაცემებით სოფლის მოსახლეობის რაოდენობა არის 875 კაცი. მათი 99% ქართველია, აგრეთვე ცხოვრობენ სომხები. დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 13%.

პროექტის გავლენის არეალში ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება.

ცალ–ცალკე იქნა წარმოდგენილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე დამატებით მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება; ხმაურის გავრცელება; ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ხარისხსა და სტაბილურობაზე; ზემოქმედება წყლის გარემოზე, ბიოლოგიურ გარემოზე; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება; ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება; ზემოქმედება ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე; ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.

საპროექტო დერეფანი გადის საკმაოდ მაღალი სიხშირის ტყით დაფარულ ზონაში. ნაგებობების მშენებლობისათვის მუდმივ სარგებლობაში გამოყოფილი ტერიტორიიდან მნიშვნელოვან ნაწილზე საჭირო იქნება მცენარეების მოჭრა-ამოძირკვა. ზემოქმედების ფარგლებში შესაძლოა მოექცეს დაცული სახეობებიც. ნაკლებად მოსალოდნელია (და პრაქტიკულად გამორიცხული), რომ საშენებლო სამუშაოებმა გამოიწვიოს მცენარის რომელიმე სახეობის განადგურება, თუმცა შესაძლებელია, რომ ადგილი ქონდეს პოპულაციების შემცირებას.

საერთო ჯამში მცენარეულ საფარსა და ადგილობრივი ჰაბიტატის მთლიანობაზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც მნიშვნელოვანი. პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედება შეიძლება შემცირდეს სამუშაოთა სწორი ორგანიზაციის/მენეჯმენტის და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით.

საკუთრივ ჰესის ოპერირება მცენარეული საფარის ამოძირკვა-გაჩეხვის სამუშაოების შესრულებას ნაკლებად საჭიროებს.

ზოოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ პროექტის განხორციელების დერეფანში შესაძლებელია ბინადრობდეს ან შემთხვევით მოხვდეს საქართველოს წითელ ნუსხაში შესული ცხოველთა სახეობები. მათზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების კუთხით გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებები.

ექსპლუატაციის ეტაპზე განსაკუთრებით აღსანიშნავია ნეგატიური ზემოქმედება იქთიოფაუნაზე, რაც დეტალურადაა განხილული გზშ-ს ანგარიშის შესაბამის თავებში.

მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილი ექნება გარკვეულ ვიზუალურ–ლანდშაფტურ ზემოქმედებას, სატრანსპორტო ნაკადების ზრდის, სამშენებლო მოედნების და მომუშავე ტექნიკის და ხალხის, მშენებარე კონსტრუქციების, სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების არსებობის, ასევე ტყის მასივების გაკაფვის გამო. სამშენებლო სამუშაოების წარმოება ნაწილობრივ შეცვლის ჩვეულ ხედს და ლანდშაფტს. ვიზუალურ–ლანდშაფტური ცვლილება შედარებით საგულისხმო იქნება ცხოველთა სამყაროსთვის.

პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია გვირაბის და მიწისქვეშა მილსადენის მოწყობა, რაც მიწისზედა ნაგებობებთან შედარებით ნაკლებ ვიზუალურ ცვლილებას მოახდენს და არ გამოიწვევს ჰაბიტატის მნიშვნელოვან ფრაგმენტაციას.

საპროექტო ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობები განთავსებული იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე. მათ შორის დერეფნის უდიდესი ნაწილი ხვდება სატყეო ფონდის ფარგლებში. საპროექტო ნაგებობების საშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოხდება საკითხის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-სთან შეთანხმება და პროექტის განხორციელება დაიწყება შესაბამისი ნებართვის მიღების შემდგომ.

ჰესის კომუნიკაციების დერეფანი არ გაივლის მოსახლეობის კერძო საკუთრების მიწებზე. შესაბამისად კერძო ნაკვეთებზე ან ქონებაზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის განხორციელების პროცესში შესაძლებელია გარკვეულწილად შეიზღუდოს ადგილობრივი რესურსებით (ტყის და წყლის რესურსები) სარგებლობა. აქედან გამომდინარე როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პროცესში გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ადგილობრივ რესურსებზე.

მშენებლობის ეტაპზე პირველ რიგში აღსანიშნავია დასაქმებით გამოწვეული დადებითი ზემოქმედება. დასაქმებულთა დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობა იქნება.

ჰესის ექსპლუატაციაში დასაქმებულთა რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი. შესაბამისად ამ ეტაპზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზემოქმედების რისკები ნაკლებია.

მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება საგულისხმო წვლილს შეიტანს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

მშენებლობაზე გამოყენებული იქნება სამშენებლო მასალების ადგილობრივი რესურსები, რაც ხელს შეუწყობს სამშენებლო მასალების წარმოების სექტორის გააქტიურებას.

ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ ენერგოსისტემა მიიღებს დამატებით ელექტროენერგიას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

პროექტის განხორციელების შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში შევა დამატებითი თანხები. მათ შორის აღსანიშნავია ქონების გადასახადი (წლიურად დაახლოებით 180 ათასი დოლარი), რაც რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვადასხვა სოციალურ პროექტებს მოხმარდება.

როგორც ამ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაზე გამოიკვეთა, ოზურგეთელები, მხარს დაუჭერენ ქვეყნის ენერგეტიკული განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს, მათ შორის „ნატანები 2 ჰესის“ პროექტს მაგრამ ითხოვენ ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რაც თავიდან აგვაშორებს ეკოლოგიურ კატაკლიზმებს, შიშობენ, არ მოხდეს ის, რაც მოხდა უკანავაში „ბახვიჰესის“ მშენებლობის დასასრულს.

„ჯეოგადამამუშავებელმა“ გადაწყვიტა თვალებში ნაცრის შეყრის სხვა მეთოდი გამოეყენებინა

(შენიშვნები ტყვიის გადამუშავების საწარმოს სკოპინგის ანგარიშზე)

შესწავლილ იქნა როგორც საწარმოს მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის, ასევე მისი განთავსების მიკრორაიონის გარემოს არსებული ფონური მდგომარეობა; მოხდა გარემოზე შესაძლო ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება, ასევე მათი ზემოქმედების მასშტაბებისა და გავრცელების არეალის განსაზღვრა. თუ დეტალურად განვიხილავთ მოცემულ ანგარიშს თვალში საცემი ხდება პარამეტრების ჰიპოთეტურობა, რაც ხშირად არ ჯდება დადგენილ ნორმებში. „ჯეოკონს“ რეალურად არ აქვს შესწავლილი არც ტერიტორია და არც ის გარემო, სადაც განკუთვნილია საწარმოს ფუნქციონირება. წარმოდგენილ ნაშრომში არაა მითითებული მსგავსი საწარმოს ფუნქციონირების მაგალითი და არც მოდელირების საშუალებით დაზუსტებულ პარამეტრებზეა ლაპარაკი. განვიხილოთ უფრო დეტალურად: „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში გზშ-ის ანგარიშის წარდგენამდე მოეწყოს მისი საჯარო განხილვა. ხოლო დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გამოექვეყნებია, რაც არ განხორციელებულა, რასაც ადასტურებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან მიღებული ოფიციალური წერილი. ფაქტიურად დაირღვა წარმოდგენილი დოკუმენტის 2.2. მუხლით გათვალისწინებული პროცედურა – „ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების პროცედურა“.

მუხლი 4.5. **საწარმოს ადგილმდებარეობა და საქმიანობისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები** მტკიცება – ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისათვის მოწყობილია წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი და ჩამდინარე წყლები ჩართულია ყოფილი საწარმოს ლოკალურ გამწმენდ ნაგებობაში, რომელიც თავის მხრივ ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში. არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი ამჟამად ფაქტიურად არ ფუნქციონირებს და საჭიროებს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას –**არ შეესაბამება სინამდვილეს.**

საკვლევი ტერიტორია არ არის გამწვანებული, ნაწილობრივ გამოყენებულია ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებისათვის (მ.შ. სიმინდის ნათესები). ეწინააღმდეგება წინა მუხლებში მოცემულ მტკიცებას, რომ **ტერიტორიაზე ჰუმუსოვანი ფენა არ არსებობს.**

4.6 მუხლში მოცემული პირობა ვადაგასული აკუმულიატორების გადამუშავების დღეისათვის არსებული და მოქმედი ტექნოლოგიები ემყარება სამ ძირითად სტადიას:

1. აკუმულიატორების გახსნა და დაშლა;
2. ტყვიის აღდგენა;
3. ტყვიის გასუფთავება-რაფინირება.

არასრულია და მასში არაა მსჯელობა გამოყენებულ და გამოუყენებელი ქიმიურ მჟავებსა და ტუტეებზე. მათი გამოყენების შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებზე და მათ განთავსებაზე; 4.6.1.4.1. გამწმენდი სისტემის კომპონენტების მუშაობის პრინციპის განხილვისას **არაა წარმოდგენილი სხვა სახის გამწმენდი ნაგებობა და არაა დასაბუთებული მსგავსი გამწმენდის დაყენების მართებულობა.**

პუნქტში 4.6.3. საწარმოს წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება წარმოდგენილი წყლის რაოდენობები არ შეესაბამება ამჟამად არსებულ ნორმებს.

პუნქტი 4.6.3.2. ჩამდინარე წყლების არინება – დგინდება, რომ დოკუმენტის შემდგენლები არ იცნობს ოზ-ურგეთის კანალიზაციის სისტემას და აბზაცი საწარმოს რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით, მოეწყობა საწარმოს დამოუკიდებელი საკანალიზაციო სისტემა და სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ჩაერთვება ყოფილი საწარმოს ლოკალურ გამწმენდ ნაგებობის რეკონსტრუქციის შედეგად მოწყობილ 50 მ3 საასენიზაციო ორმოში, საიდანაც სპეცმანქანით ამოღებული სითხე ჩაშვებული იქნება ქ. ოზურგეთის საკანალიზაციო კოლექტორში – განუხორციელებელია, ხოლო მისი განხორციელებით დაირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, რადგან დაბინძურდება მდინარეები და შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რადგან ოზურგეთს საკანალიზაციო სისტემა და გამწმენდი ნაგებობა არ გააჩნია..

ფერმიდან სუფრამდე

№ 7 - 8.02. 2016

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

ახალი კანონი მომხმარებლის უფლებებს უკეთ დაიცავს

ნატო გუბელაძე, გაზეთი P.S. (პოსტსკრიპტუმი) ქუთაისი.

განდება თუ არა ფრაზა: „გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება“ საქართველოში ისტორიის კუთვნილება? - ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა პარლამენტი დაამტკიცებს კანონს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ. კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე მიიღო პარლამენტმა. კანონპროექტი აუმჯობესებს მომხმარებლის უფლებებს გასაყიდი პროდუქტისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან, შეძენილი პროდუქციის დაბრუნებასთან, საგარანტიო პირობებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ამავე დროს, ითვალისწინებს მომხმარებლის ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას, რასაც ამ ეტაპზე მოწინააღმდეგეები ჰყავს, თუმცა, მისი აუცილებლობა სწორედ რომ ნათლად ჩანს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით დღეს არსებული ვითარების ფონზე.

> „ამ ეტაპზე წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მომხმარებლის ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას იმ სექტორებში, სადაც არ არსებობს. ომბუდსმენის ინსტიტუტი უკვე გვაქვს კომუნიკაციებში, ენერგეტიკაში, წყალმომარაგებაში, თუმცა სხვა უამრავი სფეროა კიდევ, სადაც მომხმარებელს დაცვა სჭირდება, “- აცხადებს ევროპის ფონდის პროგრამის უფროსი მენეჯერი ვახტანგ კობალაძე

მომხმარებელთა უფლებები რომ ხშირად ირღვევა, ამის თვალნათლივ წარმოსადგენად საკმარისია, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ მომხმარებლის უფლებების დასაცავად შექმნილ სპეციალურ ვებ გვერდზე (http://momxmarebeli.ge) მომხმარებლის კომენტარებს გაეცნოთ, სადაც მომხმარებლები თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ ჩივიან. სამწუხაროდ, მომხმარებლის დარღვეული უფლებების დაცვა, დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, ძალზე რთულია.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის“ შესახებ კანონპროექტის ინიცირება პარლამენტში 2015 წლის ივლისში, ევროინტეგრაციის კომიტეტის მიერ მოხდა, თუმცა, მხოლოდ 2016 წლის მარტში მოხერხდა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანა.

კანონპროექტის შექმნასა და დახვეწაში სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ ჩართული, მათ შორის: ევროპის ფონდი, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

რატომ გახდა აუცილებელი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მიღება,

- ამ საკითხზე პასუხს კანონპროექტის განმარტებითი ბარათი იძლევა, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

კანონპროექტის მიღების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებიდან, განხორციელდეს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან, მათ შორის, სამომხმარებლო სფეროში არსებულ რეგულაციებთან დაახლოება. ამრიგად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანია ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.“

„ამ ეტაპზე წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მომხმარებლის ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას იმ სექტორებში, სადაც არ არსებობს. ომბუდსმენის ინსტიტუტი უკვე გვაქვს კომუნიკაციებში, ენერგეტიკაში, წყალმომარაგებაში, თუმცა სხვა უამრავი სფეროა კიდევ, სადაც მომხმარებელს დაცვა სჭირდება, - აცხადებს ევროპის ფონდის პროგრამის უფროსი მენეჯერი ვახტანგ კობალაძე, - ომბუდსმენის ინსტიტუტი საჭიროა იმისათვის, რომ მომხმარებელს გაუწიოს უსასყიდლო კონსულტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ასევე, უსასყიდლოდ დაიცვას მისი უფლებები სასამართლოში. გარდა ამისა, ომბუდსმენმა უნდა მოამზადოს მომხმარებელთა უფლებების შესახებ ყოველწლიური ანგარიში და წარუდგინოს პარლამენტს.

კომიტეტებში განხილვისას იყო საუბარი იმაზეც, რომ კანონის სრულყოფილებისთვის საჭიროა შესაბამისი მაკონტროლებელისამსახურის ამოქმედებაც, თუმცა, ამ ეტაპისთვის, ჩემი აზრით, სახელმწიფოს ამის ბიუჯეტი არაქვს.

სჯობს ნაბიჯ-ნაბიჯ წავიდეთ წინ და ჯერ მომხმარებლის ომბუდსმენის ინსტიტუტი ავამოქმედოთ.“- განმარტავს ექსპერტი .

რა სარგებელს მიიღებენ მომხმარებლები ამ კანონის ამოქმედებით?

პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი განმარტავს, რომ „კანონპროექტით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისათვის პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე.)

სურსათის უვნებლობა

როცა თაფლი საკვებად უვნებელია, თუმცა ნატურალური არ არის

მომხმარებელთა საჩივრის საფუძველზე „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა„ საჩივრის გადამოწმების მიზნით, 2015 წლის 25 დეკემბერს "იოლის" ქსელის ერთ-ერთ მაღაზიაში შეიძინა, „შემოქმედის მონასტრის თაფლი" და ლაბორატორიაში ანალიზისათვის გააგზავნა.

ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, თაფლში შემოწმებული რამდენიმე პარამეტრი იძლეოდა მის ნატურალურობაში დაეჭვების საფუძველს.,. ამიტომ ორგანიზაციამ წერილით მიმართა სურსათის ეროვნულ სააგენტოს თაფლის შესამოწმებლად. მიმდინარე წლის 16 თებერვალს სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებული საპასუხო წერილით გაირკვა, რომ მეწარმის მიერ ლაბორატორიაში ჩაბარებული თაფლის ნიმუში აკმაყოფილებს "თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით" გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თაფლი საკვებად უსაფრთხოა, თუმცა, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინფორმაციით, კვების ექსპერტებისათვის ლაბორატორიის დასკვნა მაინც არ არის დამაჯერებელი იმისათვის, რომ თაფლი ნატურალურად ჩაითვალოს (იხ. Momxmarebeli.ge). პროდუქტი ნატურალური არ არის.

როგორც კვების ექსპერტები აცხადებენ, ლაბორატორიიდან მიღებული პასუხით ეს თაფლი ნატურალური არ არის. თუმცა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ნორმები დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

მომხმარებლები სურსათის უვნებლობის სტანდარტის დარღვევაზე მიანიშნებენ და სურსათის უვნებლობის სტანდარტის მიხედვით, თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის გადახედვას ითხოვენ.

წყარო: momxmarebei.ge

ეს უნდა ვიცოდეთ

პროდუქტების შენახვის წესი

განსაკუთრებით მალფუჭებადი შემდეგი სურსათია: ხორცის, რძის, თევზის, კულინარული (სალათები, ნახევარ ფაბრიკატები და სხვა) და საკონდიტრო ნაწარმი, პოსტნეულისა და კვერცხის შემცველი პროდუქტები. ამ სურსათის სიცივის გარეშე შენახვა დაუშვებელია;

* განსაკუთრებით მალფუჭებადი სურსათის შენახვის მაქსიმალური ვადაა 6-72 საათი (პროდუქტის სახეობების მიხედვით) არა უმეტეს 6 °C ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

* უკრემო, ცილის კრემით ან ხილით გაწყობილი ტორტებისა და ნამცხვრების შენახვის მაქსიმალური ვადაა 72 საათი. ნაღების კრემით გაწყობილის 36 სთ, ხოლო მოხარშული კრემით და ათქვეფილი

* ნაღების კრემით გაწყობილის კი 6 საათი. ყველა მათგანი უნდა ინახებოდეს +2°C-დან +6°C-მდე ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

* არაქარხნული ხორცის ფარშის შენახვის მაქსიმალური ვადაა 6 საათი +2°C-დან +6°C-მდე ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

* სოსისი და სარდელი +2°C-დან +6°C-მდე ინახება არა უმეტეს 48 საათი;

* მოხარშული ძეხვი +2°C-დან +6°C-მდე ინახება 24 საათიდან 72 საათამდე (ხარისხის მიხედვით);

* გაყინული ხორციანი პელმენი 48 საათამდე ინახება არა უმეტეს -5 °C ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

* ხორცის შეძენისას დააკვირდით მის ფერს (უნდა იყოს ღია ვარდისფერი, ან ღია წითელი),

*სიმკვრივეს (ზედაპირზე თითის დაწოლისას წარმოქმნილი ფოსო სწრაფად უნდა გაქრეს);

ახალი კანონი მომხმარებლის უფლებებს უკეთ დაიცავს

ნატო გუბელაძე, გაზეთი P.S. (პოსტსკრიპტუმი) ქუთაისი.

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

აგრეთვე, საგარანტიო ვადებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ხელშეკრულების შესაბამისი პროდუქციის მიღების დროს, მომხმარებელს უფლება აქვს, პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან 14 დღის განმავლობაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე თქვას უარი ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურება გაწეულია სრულად, პროდუქცია დამზადებულია ინდივიდუალური შეკვეთით, მიწოდებულია მალფუჭებადი პროდუქცია, დარღვეულია პროდუქციის ჰერმეტულობა, პროდუქტი განუყოფლად შეერწყა სხვა პროდუქციას, მომხმარებლისთვის მიწოდებულია ჟურნალ-გაზეთები, ხელშეკრულება დადებულია საჯაროა უქციონისშედეგად, საქონელს დაკარგული აქვს სასაქონლო სახე.

მომხმარებელს უფლება აქვს, პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან 14 დღის განმავლობაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე თქვას უარი ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურება გაწეულია სრულად, პროდუქცია დამზადებულია ინდივიდუალური შეკვეთით, მიწოდებულია მალფუჭებადი პროდუქცია, დარღვეულია პროდუქციის ჰერმეტულობა, პროდუქტიგანუყოფლად შეერწყა სხვა პროდუქციას, მომხმარებლისთვის მიწოდებულია ჟურნალ-გაზეთები, ხელშეკრულება დადებულია საჯარო აუქციონის შედეგად, საქონელს დაკარგული აქვს სასაქონლო სახე.

რა ვალდებულებებს აკისრებს კანონი ბიზნეს ობიექტებს?

კანონპროექტში მოცემულია სა მომხმარებლოსაქონლისნასყიდობისას,მოვაჭრის ვალდებულება, რომ მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულების შესაბამისი საქონელი, ასევე, ჩამოთვლილი ამოთხოვნები, რომლის მიხედვითაც საქონელი ჩაითვლება თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ. საქონლის არასწორი დამონტაჟება უთანაბრდება ხელშეკრულებისპირობებთან საქონლის შეუსაბამობას თუ საქონლის მონტაჟი ხელშეკრულების ნაწილს შეადგენდა. კანონპროექტიადგენს ხელშეკრულების უსამართლო პირობებს იმშემთხვევაში,თუ აღნიშნული პირობები ხელშეკრულების მხარეთა ინდივიდუალური შეთანხმების საგანსარწარმოადგენდა. ამ მუხლის მიხედვით,მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს, ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობები განიმარტება მომხმარებლის სასარგებლოდ." – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

რატომ ეწინააღმდეგება კანონს ბიზნესომბუდსმენი?

კანონპროექტს მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. განსაკუთრებული პრეტენზიები აქვს ბიზნეს ასოციაციასა და ბიზნესომბუდსმენს.

ამ საკითხის კომენტირებისას, ბიზნესომბუდსმენის მოადგილე ზურაბ ძნელაშვილმა გვითხრა: - „ბიზნესომბუდსმენის აპარატი,რათქმაუნდა, არ არის წინააღმდეგი, რომ საქართველოში ამაღლდეს მომხმარებელთა რესებისდაცვის სტანდარტი და ამ მხრივ, საქართველოსკანონმდებლობა მიუახლოვდეს ევროპულს, მაგრამ არა იმ ფორმით და ვადაში, როგორაც არის ინიცირებულ კანონპროექტში „მომხმარებლის უფლებების დაცვის" შესახებ".

საჭიროა სამართლიანი ბალანსის დაცვა მომხმარებელთა და მეწარმე სუბიექტების ინტერესებს შორის, რათა არ მოხდეს ერთ-ერთის ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა მეორის ინტერესების დაცვის ხარჯზე."

ძნელაშვილმა მოგვაწოდა ბიზნესომბუდსმენ გიორგი გახარიას ხელმოწერილი წერილი დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მიმართ, სადაც ჩამოყალიბებულია ბიზნესის პრეტენზიები, კერძოდ,მათ გაუმართლებლად მიაჩნიათ მომხმარებელთა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება, რადგან ეს გაზრდის საბიუჯეტო ხარჯებს და, ასევე, შესაძლოა, სამომავლოდ იქცეს ბიზნესისთვის დამატებით მაკონტროლებელ ორგანოდ, რომელსაც სანქციების დაწესება შეეძლება.

გარდა ამისა, ბიზნესომბუდსმენი წინააღმდეგია კანონპროექტის მე-15 მუხლის, რომელიც უფლებას აძლევს არასამთავრობო სექტორს, მონაწილეობა მიიღონ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, ასევე, ხელი შეუწყონ სამომხმარებლო დავის მედიაციის საშუალებით მოგვარებას. ბიზნესომბუდსმენისთვის გაუგებარი და მიუღებელია, რატომ უნდა მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები კერძო სუბიექტებს შორის არსებულ დავაში.

ხოლო რაც შეეხება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს ამ კანონის მიღების კუთხით, ბიზნესომბუდსმენი მიუთითებს, რომ საქართველოს აქვს ხუთწლიანი ვადა და ასეთი აჩქარება საჭირო არ არის.

ლევან ბერძენიშვილი, - პარლამენტის წევრი.

როდის იგეგმება კანონპროექტის განხილვა და მიღება?

კანონპროექტის ინიციატორები ევროინტეგრაციის კომიტეტში განმარტავენ, რომ „ვადები, რომელიც მოცემულია ასოცირების შეთანხმებაში, იძლევა მომხმარებელთა უფლებების სფეროში დინამიური და ეტაპობრივი ჰარმონიზაციის შესაძლებლობას.„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი ეტაპობრივია და ითვალისწინებს მომხმარებლის მინიმალური დაცვის საშუალებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში დღეს მოქმედი სტანდარტები სრული სახით ვერ იქნება დანერგილი საქართველოში, თუმცა ნაბიჯ-ნაბიჯ სფეროს გაუმჯობესებაზე, მომხმარებელთაუფლებების დაცვაზე, შესწავლილი და გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრაზე ორიენტირებული ღონისძიებების ჩატარება აუცილებელი და ძალზე მნიშვნელოვანია." - აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

მას შემდეგ რაც, კანონპროექტის პაკეტი განიხილეს სავალდებულო კომიტეტებმა, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომი კურიპოლიტიკის კომიტეტმა, როგორც წამყვანმა კომიტეტმა, პრინციპული შენიშვნებიდან გამომდინარე, ჩაატარა სამუშაო ესწრებოდნენ, კანონპროექტის ინიციატორი კომიტეტი (ევროპასთან ინტეგრაციისკომიტეტი), სახელმწიფო სტურქტურების, ბიზნესმენთა ასოციაციისა დაარასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. როგორც კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სამუშაო შეხვედრაზე გამოითქვა არაერთი როგორც პრინციპული, ისე მუხლობრივი შენიშვნა. მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ეს კანონპროექტი იწვევს ცვლილებებს სხვა კანონებშიც. მაგ.: საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში, საჯარო სამსახურის ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონში და ა.შ.-„რაც შეეხება კომიტეტის პოზიციას, არაერთხელ დამიფიქსირებია, რომ ჩვენ ორიენტირებული ვართ,მივიღოთ სრულყოფილი და ქმედითი კანონი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლის უფლებები იქნება მაქსიმალურად დაცული, თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ ბიზნეს სექტორის პოზიციაც. საზოგადოებრივი ინტერესიდან და საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს ყველა მხარის ინტერესი. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობაკანონპროექტის ინიციატორთან პროექტის დახვეწაზე." - განაცხადა მან.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" კანონპროექტის შესახებ და მისი ოპონენტების მიმართ თავის კომპეტენტურ აზრს გვიზიარებს ექსპერტ-იურისტი,„ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის"აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ბატონი დავითკერესელიძე: - „მიუხედავად იმისა, რომ ეს არის მომხმარებლის უფლებების დამცავი კანონპროექტი, მისი დებულებების დროული ამოქმედება მეწარმის ინტერესებშიცაა და ის წინააღმდეგობა, რომელსაც იგი აწყდება განხილვის სტადიაზე, მხოლოდ მის მიმართ ზედაპირული დამოკიდებულებით გამოწვეული შიშია."

დავით კერესელიძეს მიაჩნია, რომ ის, ვინცწაიკითხავსკანონპროექტს, დაუყოვნებვინაიდანისახალისებსკეთილსინდისიერდამოკიდებულებასმეწარმესადამომხმარებელსშორის, ხელსუწყობსპატივისცემაზედამყარებულიურთიერთობისგანვითარებას, როდესაცმწარმოებელიცდაგამყიდველიცფიქრობსიმაზე, თუროგორშეიძლება, იყოსმომხმარებელიკმაყოფილიმათი პროდუქციით.

ფრაზა, -„გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება", - საქართველოშიც ისტორიის კუთვნილება გახდება, - აცხადებს იურისტი.

მომხმარებელი კანონპროქტის განხილვაში აქტიურად უნდა ჩაერთოს.

გვერდი მომზადებულია „რეგიონული მედიის ასოციაციის" მიერ „ევროპის ფონდის" დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევროპის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

დარეკე და დაიცავი შენი უფლება!

სურსათის ეროვნული სააგენტოს სერვისების, სიახლეების, პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე

საინფორმაციო სამსახური მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის ჩათვლით) 09:00 სთ-დან 21:00 მდე.

დარეკეთ მობილურიდან ან ფიქსირებული ქსელიდან:

032 247 - 01 - 01

გაბოროტებული ადამიანის მარხვა მორიელის მარხვას ჰგავს...

მარხვა საკუთარი ნების დამორჩილებაა, რელიგია კი ნების საქმეა. ის, ვინც საკუთარ მუცელს ვერ ერევა, უფრო ძლიერ ვნებებსაც ვერ მოერევა. ჭამაში თავაშვებულობას სხვაგვარ თავაშვებულობამდე მივყავართ.

ქრისტიანული სიყვარული განსაკუთრებულია. იგი საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს. მარხვა მცირედის შეწირვაა. თუკი მცირედს არ შევწირავთ, დიდ შეწირვას ვერ შევძლებთ.

ძველი ქრისტიანები მარხვას მოწყალების მცნებასთან აერთიანებდნენ. მათ წესად ჰქონდათ, კვებისათვის განკუთვნილ ფულს განსაკუთრებულ ქისაში ინახავდნენ და დღესასწაულებზე მათხოვრებს ურიგებდნენ.

მარხვები წინ უძღვის დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებს. მარხვა სინანულის ერთ-ერთი პირობაა. სინანულისა და განწმენდის გარეშე სიხარულის შეგრძნება შეუძლებელია. უფრო სწორად, ადამიანი განიცდის ესთეტიკურ კმაყოფილებას, ძალის მატებას, ეკზალტაციას და ა. შ. მაგრამ ეს სულიერების სუროგატია მხოლოდ, გულში მადლის მოქმედებით გამოწვეული ჭეშმარიტი სიხარული მისთვის მიუწვდომელი რჩება.

მარხვა მკაცრად შეფარდებული უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობის და ორგანიზმის სიძლიერესთან. ბასილი დიდი წერს: „უსამართლობაა, მტკიცე და სუსტი ორგანიზმის მქონე ადამიანებს მარხვის ერთი და იგივე ზომა დაუწესოთ. ზოგის სხეული რკინას ჰგავს, ზოგის კი — თივას.

მარხვა უმსუბუქდებათ ორსულებს, მშობიარეებსა და ექსტრემალურ პირობებში მოხვედრილთ, ბავშვებსა და მოხუცებულებს, თუკი მოხუცებულობას თან ახლავს სისუსტე და უძლურობა. მარხვა უქმდება იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურად შეუძლებელია სახსნილო საჭმლის შოვნა და ადამიანს ავადმყოფობა ან შიმშილით სიკვდილი ელის.

ხშირად მედიკოსთა ნაწილი მარხვას აიგივებდა „ძველ ვეგეტერიანელობასთან“, რომელიც საკვებიდან გამორიცხავდა ცხოველური წარმოშობის ყველა პროდუქტს, ბევრმა მათგანმა არც იცოდა, რომ თევზი სამარხვო საჭმელია. ცნობილია, რომ ხალხები და ტომები, რომლებიც უმეტესად მცენარეული პროდუქტებით იკვებებიან, ამტანიანობით და დღეგრძელობით გამოირჩევიან. სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით, პირველ ადგილზე დგანან მეფუტკრეები და მონაზვნები.

დედა ეკლესია გვასწავლის, რომ სხეულის მარხვა სულიერ მარხვასთან უნდა იყოს შერწყმული. საჭიროა მოვერიდოთ სანახაობებს, ფუჭ, კადნიერ საუბრებს, ყოველივეს, რაც ფანტავს გონებას. მარხვას თან უნდა ახლდეს განმარტოება, მდუმარება, ფიქრი საკუთარ ცხოვრებაზე და საკუთარი თავის განსჯა...

მარხვა შეურაცხყოფის, წყენის ურთიერთმიტევებით იწყება. გაბოროტებული ადამიანის მარხვა მორიელის მარხვას ჰგავს. დედამიწის ბინადართა შორის მორიელი ყველაზე დიდხანს ძლებს უსაჭმელოდ, მაგრამ თან მომაკვდინებელ შხამს გამოყოფს. მარხვას უნდა ახლდეს მოწყალება და ღარიბთა დახმარება.

მოამზადა

ოლიკო კობალავამ.

კონფერენცია ადგილობრივი თვითმმართველობების საკითხებზე

მარი კოკოევი

15 მარტს ოზურგეთში, კერძოდ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ" გამართა რეგიონული კონფერენცია, სადაც განხილული იყო მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში.

შეხვედრას ესწრებოდნენ გურიის რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, სათემო ლიდერები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორი და მედია.

მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულებები მოქალაქეთა ჩართულობაზე ადგილობრივ მმართველობით პროცესებში. იმსჯელეს ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერების გზებზე და ხელისუფლების კომპეტენციების გადანაწილებაზე.

„ასეთი შეხვედრები კარგი შესაძლებლობაა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რათა გამონახონ გზები სამომავლო თანამშრომლობისთვის. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ აქტიური მოქალაქე ადგილობრივი დემოკრატიის სიძლიერეა. ეს არის რიგით მეექვსე შეხვედრა, მსგავსი შეხვედრები ტარდება ყველა რეგიონში" განაცხადა „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის" აღმასრულებელმა დირექტორმა დავით მელუამ.

სკანვორდი





№ 11-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — უიტნი ჰიუსტონი; ჭაობის მცენარე — ისლი; ლიტერატურული ჟანრი — პაროდია; სუფთა მოგება კრიკეში — ნოკაუტი; მოლდაველი პოეტი —ბოცა; დაპროგრამების ერთ-ერთი ენა — ლოგო; ქალის სახელი — ლილე; ნაბიჯი ცეკვაში — პა; კავშირი — და; თვითმფრინავების სადგომი — ანგარი; ... მორჩილაძე — აკა; შეტყობინება — ტელეგრამა; ბანკში შესანახად მიბარებული თანხა — დეპოზიტი; მე მეგრულად — მა; გამხმარი თევზი — ტარანი; ტურგენევის ნაწარმოები — მუმუ; მამაკაცის სახელი — მალაქია; მოგება ნარდში — მარსი; თვითნაბადი ოქროს სახეობა — ელექტრუმი; ბოსტნეული — კამა; დაქირავებული ტრანსპორტი — ტაქსი; ძველი ქართული ტომი — სუჯები; მდინარე ჩილეში — ბიობიო; ქალაქი ბალტიისპირეთში — ტარტუ; ნიკოლოზ კოპოლას ფსევდომი — კეიჯი; ფოსფორის მადანი — აპატიტე; სურნელოვანი ყვავილი — იასამანი;

ფირალთა მდევნელ ივანე დუმბაძის მეორე ცხოვრება

დასაწყისი იხილეთ №9-11 2016 წ

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი

ივანე დუმბაძე ყაჩაღთა უპირველესი მდევარი იყო. „ფირალზე აღებულ კვალს“ იგი ძნელად თუ დაკარგავდა. ბოროტგანმზრახველსა და ავაზაკს სამარის კარამდე ჩაჰყვებოდა. იყო წარმომავლობით სოფელ შემოქმედის მკვიდრი. მისი ოჯახი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა და მოღვაწეობის მხრივ ერთ-ერთ უპირველესად ითვლებოდა მთელ გურიაში. მათი ძირი და საწყისი ფესვი დიდი შემოქმედელის - იაკობ დუმბაძისაგან იღებდა სათავეს.

ივანე დუმბაძე დიდი იაკობ შემოქმედელის ნაშიერი და შთამომავალი იყო - ივანეს მამა, ანტონ დუმბაძე ცნობილი და სახელოვანი კაცი. შესანიშნავი მგალობელი და იგავ მიუწვდომელი მოკრიმანჭულე. თედო სახოკია წერდა:

„შემოქმედის მშვენიერი ეზოებიდან მოსჩანს მდიდრული სახლები აქაურ მკვიდრთა... აქ სახლობენ დუმბაძენი, რომელთა გვარშიაც თავი შეინახა გურულმა ე.წ. „დუმბაძეთა კილომ“ საეკლესიო გალობისამ... ამ გვარეულობას იგივე მნიშვნელობა აქვს გურიისათვის, რაც ძმათა კარბელაშვილებსა და კარგარეთლებს ქართლში, ჯალაგანიძეებს სამეგრელოში“.

ია კარგარეთელის ცნობით: „არის გუნდში ხმარებელი ბანი, რომელსაც უწოდებენ ოქტავასა და რომელსაც ქართულად შეუსატყვისებენ დვრინსა, ანუ დუმბსა, აქედან მიმდინარეობს შესაძლებელია ერთი მოსაზრებაც: დუმბი გავრცელებულია უფრო დასავლეთ საქართველოში, აქ ცხოვრობენ გამოჩენილი მომღერლები ძმანი დუმბაძენი, შესაძლებელია ხალხმა ამ მომღერლების სახსოვრად მიათვისა ამ ხმას ეს სახელი“.

დუმბაძეთა საგვარეულომ მისცა ქვეყანას გურული კრიმანჭულისა და გალობის საოცარი პიმნოგრაფები: ანტონ დუმბაძე და შვიდნი ძენნი მისნი, ხმატკბილად მოღუღუნე:

მელიტონ,
ნიკოლოზ,
მიხაკო,
სამსონ,
დავითი,
იოსები და ჩვენთვის უკვე ნაცნობი ივანე დუმბაძე, იალტის მომავალი გენერალ-გუბერნატორი.

ივანე ანტონის ძის ძმას - დავითს ათი ასული და ორი ვაჟი ჰყავდა. ჩინებული მგალობლები, „ბაგეთაგან რომელთა ხმაი ოქროთ აღმოწყაროვდა“. მათ შორის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულნი: სონია (სალომე) დავითის ასული, ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის ჯოვანო ბონას მეუღლე, მილანის გვართაშორისო ცენტრის მთავარი კონსულტანტი და ვასო დავითის ძე. დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ რომანის უმთავრესი პერსონაჟი. ისე როგორც მამა ანტონი, ასევე მისი ძე - პოლიციის ბოქაული ივანე შესანიშნავად ფლობდა გურულ საგალობლებს.

ცნობილი ლოტბარი ფილიმონ ქორიძე სწორედ მათგან იყო დიდად დავალებული გურული სიმღერების ნოტებზედ გადაღების საქმეში. გაზ. „ივერია“ 1893 წელს წერდა:

ივანე დუმბაძესა და მის მამა ანტონს თუ გალობის ცოდნაში, თუ ხმის სიმშვენიერეში ტოლი და ბადალი არ მოეპოვება, რომ გასწყრეს ღმერთი და ანტონი მოგვიუძლურდეს, ან ხელიდან გამოგვეცალოს მასთან ერთად დაიმარხება ჩვენებური გალობაც.

ანტონ და ივანე დუმბაძეთა ოჯახში იშვა ცნობილი რუსი თეატრალი ვლადიმერ ივანეს ძე ნემიროვიჩ-დანჩენკო. რუსული კულტურული სამყაროს ამ მხრივ დიდად დავალებულია დუმბაძეთა ძირძველი ოჯახისაგან.

გურიის მხარის უპირველესი „სტრაჟნიკი“, გოგია ლომჯარიასა და დათულია სურგულაძის კვალში ჩამდგარი ბოქაული ივანე დუმბაძე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან წარმოჩინდა ოზურგეთის სამაზრო პოლიციაში ბოქაულის თანამდებობაზე.

1880 წლის 8 ოქტომბერს ივანე დუმბაძე ხელს აწერს ქუთაისის გუბერნატორის 1878 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე შედგენილ „სახელმწიფო აქტს“ ოზურგეთის მაზრის სოფელ ჯუმათის სახელმწიფო გლეხთა „აღწერილობის სიაზე“, ოზურგეთის მაზრაში სახელმწიფო ქონების აღმრიცხველთან თავად შალიკაშვილთან, ჯუმათის საზოგადოების მამასახლისთან კონსტანტინე ართილაყვასთან, სოფლის საზოგადოების მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან: ესტატე და ადონიკე დარჩიებთან ერთად როგორც ოზურგეთის მაზრის პოლიციის ბოქაული და კოლეგიის რეგისტრატორი“.

1880 წლიდან 10 ივლისიდან მას მონდობილი აქვს სოფელ ბაილეთში, საკუთარ დუქანში, ავაზაკების მიერ მოკლულ ვაჭარ ქერეჯ ოღლისა და ამავე ვაჭრის „პრიკაშიკ“ ა. დარჩიას საქმის გამოძიება, მაზრის უფროსის მოადგილე. 1881 წლის 19 მარტს გოგია ლომჯარიას მიერ აღძრულ მაზრის უფროსის თანაშემწე თავად ანტონ ნაკაშიძესთან ერთად. დუმბაძე აქაც ბოქაულის ხარისხშია ამაღლებული.

ყაჩაღთა მადევარი დუმბაძე გურიაში სასწავლო-საგანმანათლებლო საქმის ერთგვარ რეფორმატორადაც გვევლინება. 1883 წელს გაზ. „დროება“ მის შესახებ წერდა:

„ამაღლების სოფელმა ძველი დანგრეული სკოლის გამოსაცვლელად შეაგროვა 100 მანეთი და დახმარება სთხოვა ოზურგეთის მაზრის უფროსს. მაზრის უფროსმა ხსენებული თანხა ბოქაულ ივანე დუმბაძეს გადასცა. დუმბაძემ სურვილი გამოთქვა ჩოხატაურის რამდენიმე სოფლის სკოლის ერთ სკოლად გაერთიანებისა და მათ ბაზაზე ოთხ კლასიანი სასწავლებლის დაარსების შესახებ, რაც გარკვეული წინსვლა იქნებოდა გურიის მხარის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებასა და მის საქმიანობაში.

იყო დიდი ქველმოქმედი. 1899 წელს, როდესაც შემოქმედის ფერიცვალების ტაძარში დაკრძალეს ლევ ტოლსტოის ვაჟზე „ქარაფშუტა ანდრიუშა ტოლსტოიზე“ დაწინდული, შემდგომში „ანდრიუშასაგან დაწუნებული“ და შეურაცყოფილი ელენე კონსტანტინეს ასული გურიელი, განსაკუთრებულ „კნიაჟნას“ სულის სახსრად და საოხრად, ივანე დუმბაძემ შემოქმედის მონასტრის აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად 1500 მანეთი შესწირა.

საინტერესო გამოკვლევაში: „ლეგენდად დარჩენილი“, პროფესორი ქველი ჩხარტიშვილი აღნიშნავს: „ანტონ დუმბაძის შვილთაგან, რამდენიმე გენერალი იყო. იალტის გენერალ-გუბერნატორი ივანე დუმბაძე ნიკოლოზ მეორის უახლოესი პირი, იმდენად ცნობილია, რომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ მახსენდება ბავშვობაში გაგონილი: ვასოს (იგივე კვაჭი კვაჭანტირაძის, - დავით დუმბაძის ვაჟის სხვა ბიძა, გარდა გენერალ ივანე დუმბაძისა) თებერვლის რევოლუციის დროს ვლადივასტოკის კომენდანტი იყო. მეფის გადადგომა, რომ გაიგო წერილი დატოვა - „როცა მონარქი აღარაა, სიცოცხლე აღარ ღირსო“ და თავი მოიკლა.

ოზურგეთის მაზრიდან იალტის გენერალ-გუბერნატორად გადაყვანილ ივანე დუმბაძეს მუდამ თან ხვდება ჟამით ჟამად დაუმცხრალი ნოსტალგია მშობლიური მხარის სიყვარულისა. ცნობილი მომღერალი დიდებული ლოტბარის - ვარლამ სიმონიშვილის მომღერალთა გუნდის წევრი მაკა იონას ასული ღლონტი გოგუაძისა. „წარმოსახვათა ბრწყინვალე თავფურცლებში“: „ანტონ დავითის ძე დუმბაძისა და მისი ოჯახის სათავგადასავლო მოგონებანი“ მოგვითხრობს:

„ანტონის ოჯახი შეძლებული იყო. თავად ანტონი - სამხედრო პირი გახლდათ. შვილებიც მამის კვალს გაჰყვნენ გარდა ერთისა. ანტონის მეუღლე მარინე გოგიტიძისა - ნიჭიერთა შთამომავალი, ისიც შესანიშნავად მღეროდა... ანტონის შვილებიცა და შვილიშვილებიც ყველანი მღეროდნენ. განსაკუთრებული ხმა ჰქონდათ დავითსა და ივანეს. ივანე დუმბაძე ჯერ ქუთაისში გადაიყვანეს. შემდეგ იალტაში გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე.

ივანემ საგანგებოდ დაამზადებინა სპილენძისა და ოქროს მჭედელ საუკეთესო ოსტატებს: მოოქროვილი ჯაჭვი და სპილენძის საშუალო ზომის ქვაბი თავის საცხოვრებელ სახლში - იალტაში გამოსაფენად, შესაბამისი „კერიის მოწყობილობით“ რასაც საგანგებო ყურადღება მიუქცევია იმდროინდელი იალტის მაღალი საზოგადოებისათვის. ეს იშვიათი ნაკეთობანი ერთხანს იალტის სახელმწიფო მუზეუმში ინახებოდა, მერე სად გაქრა ყოველივე, არავინ უწყის. უკვე 1936 წელს, ჩემი იქ ყოფნისას, ამ იშვიათ ოსტატობით ნაჭედი „გურული ყოფისათვის“ დამახასიათებელი და ნიშანდობლივი ნივთების კვალი საგულდაგულოდ იყო წარხოცილი“.

ივანე დიდად ეხმარებოდა შემოქმედის საზოგადოებას. იალტიდან ხშირად ჩამოდიოდა გურიის ამ უმშვენიერეს სოფელში. მისი უშუალო დახმარებითა და ქველმოქმედების შედეგად გაიხსნა ოზურგეთში 1913 წელს მეორე სააფთიაქო დაწესებულება. გენერალი ივანე დუმბაძე პირადად დაესწრო მის კურთხევას. გადაღებულ იქნა ფართო საზოგადოებრიობასთან ერთად სამახსოვრო ფოტოსურათი. მე პირადად მინახავს ეს სურათი ქალაქ თბილისში. სახელმწიფო მუზეუმში, რევოლუციამდელი პერიოდის ღირსშესანიშნავ მოვლენათა ამსახველ გამოფენაში აფთიაქის გამგედ ივანე დუმბაძის ძმისშვილი. ვაჟი „საქართველოს იადონად“ წოდებული დავით დუმბაძისა, - გიორგი დუმბაძე დაინიშნა. გიორგი დუმბაძეს დიდხანს არ დასცალდა საყვარელი ბიძის მიერ გახსნილ დაწესებულებაში სამსახური.

ერთი წლის შემდეგ იგი მოჰკლა კონკურენტმა. საგანგებო დავალებათა აღმსრულებელმა ტერორისტმა, სპეციალობით პროვიზორმა ა. ზედგენიძემ.

დავით დუმბაძის ცხრა ასული დასტიროდა მდუღარე ცრემლებით საყვარელ ძმას. ცხრანივე ულამაზესნი და კეთილ მგალობელ-მწიგნობარნი. მათ შესახებ ხომ პოეტური ნიჭით აღსავსე საგანგებო ლექსებს თხზავდა და გიტარაზე ამღერებდნენ. მათ შესახებ გრიგოლ ცეცხლაძის პოემაში, „ხუთი მაუზერი“, ნაქვამია:

„დავით დუმბაძის ცხრა
ქალიშვილი,
ერთად გადმოდგა ოდის ბალკომზე“.

არ ყოფილა არცერთი დიდი საქველმოქმედო ღონისძიება რომელშიაც უპირველესის როლი არ ეტვირთოს ივანე დუმბაძეს. 500 მანეთი შესწირა ოზურგეთის მოედანზე გამართულ „ალეგრობის“ დროს ოზურგეთის სამკითხველოს. ზრუნავდა და გვარიან თანხას იხდიდა შემოქმედის მონასტრის დაცვისა და მოვლა-პატრონობისთვის.

ენვერ გოგუაძე

როცა წაყრუება და დუმილი არ ეგების

ალიონი. 15 მარტს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ინიციატივით, რეჟისორმა ლია ჯაყელმა აქ წარმოადგინა თავისი დოკუმენტური ფილმი „2014“, რომელიც საქართველოში ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ფაქტებზეა აგებული.

ფილმში ასახული და გაანალიზებული, ძალადობის შედეგად, ქალთა დაღუპვის ფაქტები შემზარავი და მოუთმენელია. აქ მხოლოდ მოძალადეების (მკვლელების) მიმართ გამოტანილი ვერდიქტი (ისიც საკითხავია, რამდენად ადეკვატური და სამართლიანი) ვერ უშველის საქმეს. თუ სახელმწიფო შესაბამის ღონისძიებებს არ გაატარებს და საზოგადოება ხმას არ აიმაღლებს, ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდება და სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს. ეს ის საუბედურო შემთხვევებია, რომელზეც წაყრუება და დუმილი არ ეგების.

სწორედ ეს გაჰყვა ლაიტმოტივად ამ მართლაც პროფესიონალურად მაღალ დონეზე, დოკუმენტური სიზუსტით მომზადებული ფილმის ჩვენების შემდეგ დარბაზში გამართულ დისკუსიას.

სიტუაციის შერბილების მცდელობად არ ჩაგვითვალონ, მაგრამ საეჭვოდ გვეჩვენა ფილმის საექსპოზიციო ნაწილში ტიტრებზე გამოტანილი სტატისტიკა, რომ საქართველოში, სადაც მოსახლეობის 52% ქალია, ყოველ მესამე ქალს სცემენ.

დღეისათვის საქართველოში, სავარაუდოდ, 4 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, 4 მილიონის 52 პროცენტი 2 მილიონ 800 ათასზე ცოტა მეტია, ამ რიცხვის მესამედი კი 900 000 ათასს აღემატება. გამოდის, რომ საქართველოში ყოველდღიურად სულ ცოტა, 900 000 ქალს სცემენ?! წარმოუდგენელია, დაუჯერებელია. ვინმე ხომ არ ამუქებს? მაგრამ ერთეულ(ებ)საც რომ სცემდნენ, ესეც ხომ მოუთმენელია.

ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა გაბერილი სტატისტიკის გარეშეც იმდენად მძიმე და მუქია, რომ მის გადასაჭრელად ერი და ბერი უკვე ფეხზე უნდა იდგეს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ანსამბლ „რუსთავის“ დირექტორის **ბადრი თოიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზაფხულივით ლამაზი და ფერადი საღამო

მარი კოძოევი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონულმა ორგანიზაციამ დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს უმასპინძლა. რომელიც ქალაქ ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა. ღონისძიების წამყვანი მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ოთხი შვილის დედა მარინა ტაბიძე იყო. სწორედ ქალბატონმა მარინამ გაგვაცნო სკოლის პედაგოგები და საბავშვო ბაღის აღმზრდელები, რომლებიც გახლავთ მრავალშვილიანი და ახალგაზრდა დედები. ასევე მასწავლებლები „ზოგჯერ უშვილო მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი". მრავალშვილიან დედათა შორის გამორჩეულად უნდა აღინიშნოს შემოქმედის საბავშვო ბაღის მუსიკის პედაგოგი ია თოიძე, რომელიც ექვსი შვილის დედაა და რვაშვილიანი ნათია ლაჟონია ლიხაურის საბავშვო ბაღის მედდა.

იყო სასიამოვნი მუსიკა, ლექსი და დადებითი განწყობა. გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს ქალბატონებს ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ლელა იმედაშილმა და ქალაქის მერიის განათლების, კულტურის და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსმა, მარინა ჯაფარიძემ.

სტუმრებს სამახსოვრო საჩუქები გადაეცათ.

ღონისძიების შესახებ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ქალბატონი როზა გოგუაძე ამბობს: „დარბაზში დედაშვილობის მადლი ტრიალებდა. ჩემი სურვილია ყველას მიესადაგოს დიდი ვაჟას გამონათქვამი „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა". ოზურგეთის საჯარო სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე ყველა ქალბატონს გულწრფელი სიყვარულით გილოცავთ პირმშვენიერი გაზაფხულის შემობრძანებას და მის ულამაზეს დღესასწაულებს, დედისა და ქალთა დღეს. გისურვებთ არასოდეს მოგკლებოდეთ ქართული აკვნის მადლი. გზას გიციսკროვნებდეთ „იავნანას" „ვეფხისტყაოსანის" „დედაენის" ნათელი. შვილთა სიმრავლე, მზეგრძელობა დაგბედებოდეთ აწ და მარადის უკუნისამდე".

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა. (რ)

„ლესტერ სიტი" ოზურგეთელი ვაკო ყაზაიშვილით დაინტერესდა

ინგლისური პრესის, კერძოდ Bleachsport-ის ინფორმაციით, "ლესტერში" შესაძლოა არნემის "ვიტესის" ნახევარმცველი, ოზურგეთელი ვაკო ყაზაიშვილი ვიხილოთ, რომელიც ზაფხულში აუცილებლად შეიცვლის გუნდს.

ვაკო ერედივიზიონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია და მის მიმართ ინტერესს რამდენიმე ძლიერი კლუბიც იჩენს. მისი საბაზრო ფასი 3 მილიონ ევროს უტოლდება და "ვიტესი" მის გაყიდვას დაახლოებით 5 მილიონად მაინც დათანხმდება.

ქალთა რეგიონალურ ტურნირში მზია ცეცხლაძემ გაიმარჯვა

ალიონი. გურიის ნარდის ფედერაციამ, (თავმჯდომარე თამაზ სალუქვაძე) ქალთა რეგიონალული ტურნირი ჩაატარა მოკლე ნარდში, რომელშიც გურიის ოთხივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ქალბატონები მონაწილეობდნენ.

მეოთხედფინალამდე კარგად ითამაშა ლანჩხუთის საკრებულოს წარმომადგენლებმა (ნინო ძიძიგური, მარიამ კუპრაძე, ნუნუ სულაკაძე), თუმცა ნახევარფინალს მიღმა დარჩნენ. რაც შეეხება ჩოხატაურელ დიასახლისთა გუნდს (ნაზი გაგუა, თამარ ჭიხვარია, აზა შანიძე, თამარ მირზაშვილი), მათგან თამარ მირზაშვილი გავიდა ნახევარფინალში. იგი მე-3 ადგილისათვის ბრძოლაში დამარცხდა ოზურგეთელ თიკა გოგოლაძესთან (2:1) და მე-4 ადგილს დასჯერდა.

ფინალში ერთმანეთს ლიხაურის საჯარო სკოლის მთავარი ბუღალტერი მზია ცეცხლაძე და ოზურგეთელი ინდმეწარმე თამარ ჩიგოგიძე დაუპირისპირდნენ. დაძაბულ ბრძოლაში თამარ ცეცხლაძემ გაიმარჯვა

(3:1) და პირველ ადგილს და სპეციალურ თასს დაეუფლა.

გამარჯვებულებს ჯილდო გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ გადასცა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ქალთა ასეთ წარმომად-გენლობით და კარგად ორგანიზებულ ტურნირს.

ცნობილმა ხელოვანმა ტრისტან სიხარულიძემ გამარჯვებულებს „შალვა ჩემო"-ს მუსიკალური დისკები უსახსოვრა.

შეინარჩუნებს თუ არა პირველ ლიგაში ადგილს „მერცხალი?"

ალიონი. ერთ დროს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კლუბის, „მერცხალის" გულშემატკივრები ახლა პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ოცნებობენ.

ლიდერთა სამეული ძალიან წინ გაიჭრნენ და 22 ტურის შემდეგ „ლიახვს" 49 ქულა აქვს; „სამგურალს"-41; „ბორჯომს"-40.

უფრო სიმჭიდროვეა გათამაშების ცხრილის ქვედა ნაწილში, სადაც „მერცხალს" თეორიული შანსი აქვს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ეს ბევრადაა დამოკიდებული თუ რას იზამენ მის წინ მდგომი კონკურენტები.

22-ე ტურში „მერცხალმა" შინ „გაგრა" დაამარცხა 3:1. მის უშუალო კონკურენტთაგან „ალგეთმა" ქედის „ბეთლემს" სძლია –2:0; „ჩხერიმელა" ხონში დამარცხდა „იმერეთთან" 0:1; „ჭიათურამ" შინ 1:2 წააგო „სქურთან;" „სამეგრელომ"-„ვიტ ჯორჯიასთან"0:3; გასავარდნ ზონასთან ახლოს მდგომმა „მაჭახელამ" კი შინ რუსთავთან 2:2 ითამაშა, ხოლო „მეშახტე" ხობში „კოლხეთთან" 0:2 დამარცხდა.

22 ტურის შემდეგ ცხრილის ბოლო ხუთეული ასე გამოიყურება: „სამეგრელო"-24 ქულა; „ჭიათურა"-21; „ჩხერიმელა"-20; „ალგეთი"-19; „მერცხალი"-16 ქულა.

გუშინ „მერცხალი" ხარაგოულში „ჩხერიმელას" ხვდებოდა.

ოზურგეთელი ნორჩი მოჭადრაკეების წარმატება

(ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთი საგზური)

ალიონი. 4-13 მარტს ქობულეთში ჩატარდა საქართველოს პირველობის დასავლეთ ზონის ჩემპიონატი 8-10- და 12 წლის ასაკის მოსწავლეთა შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა გურიის რეგიონალურ და მუნიციპალურ ჩემპიონატებში წარმატებული მოჭადრაკეები. ჩემპიონატი, რომელშიც ჩართული იყო დასავლეთ საქართველოს ყველა წამყვანი და ტიტულოვანი ნორჩი მოჭადრაკე შვეიცარული სისტემით 9 ტურად ჩატარდა. ოზურგეთელთა გუნდის პროგრამა მინიმუმს საპრიზო სამეულში მოხვედრა და საქართველოს პირველობის ფინალური საგზურის მოპოვება წარმოადგენდა, რაც შეიძლება ითქვას, გადაჭარბებით შესრულდა კიდეც. ყველაზე საინტერესოდ 10 წლამდე ასაკის მოსწავლეთა პაექრობა წარიმართა, სადაც ოზურგეთელმა მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს. მათ არამარტო შედეგები დადეს, არამედ ხარისხობრივადაც მაღალი დონის პარტიები გაითამაშეს. გოგონათა შორის ანა მეგრელაძემ, რომელიც კარგად მომზადებული ჩავიდა ფოთში, დამაჯერებლად მოიპოვა ჩემპიონობა. ანასათვის ამ დონის წარმატება პირველი არაა (ასეთი შედეგი მან რვა წლის ასაკშიც აჩვენა).

ბრწყინვალედ იასპარეზა უდავოდ ნიჭიერმა მარინე ღლონტმა, რომელმაც ამ დონის ღონისძიებაში დაკავებული

მეორე ადგილით ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა.

ბიჭებს შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს გუგა კილაძის წარმატება, რომელმაც შეძლო ფავორიტებს გამკლავებოდა და დაკავებული მეოთხე-მეხუთე ადგილით საქართველოს პირველობის ფინალის საგზური აიღო. ჩემპიონატის დახურვაზე ხაზგასმით აღინიშნა ოზურგეთელი მოჭადრაკეების მიღწეული მაღალი სპორტული შედეგები და მწვრთნელ ელგუჯა ურუშაძის ნაყოფიერი საქმიანობა. საერთოდ, ნორჩმა გურულმა მოჭადრაკეებმა, რომლებიც ჩემპიონატზე ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის (დირექტორი გოჩა კვანტალიანი) სახელით ასპარეზობდნენ, ჭადრაკის სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს ავთანდილ (ზურაბ) ჩხაიძეს მეუღლის **მარინა გაბრიჩიძის** გარდაცვალების გამო.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, -1+9	მზე, ღრუბელი +2+12	მზე, +9+16	მზე, ღრუბელი +12+22	მზე, ღრუბელი +7+19	წვიმა, +1+8	მზე, ღრუბელი +1+7
21 მარტი ორშაბათი	22 მარტი სამშაბათი	23 მარტი ოთხშაბათი	24 მარტი ხუთშაბათი	25 მარტი პარასკევი	26 მარტი შაბათი	27 მარტი კვირა